



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31250833
თარიღი: 24/03/2025

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

21. 03. 2025 წელი

14:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდლობაძე**.

სხდომას ესწრებოდნენ: გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2

და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

4. შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

7. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდლობაძე/

8. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 3 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №17 და №19 დადგენილებების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი: განსახილველი და დადგენილებებით განსაზღვრული ლანჩხუთის №17 №19 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისადამი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის

ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით, რაც აისახება საჯარო დაწესებულების სამტატო ნუსხაში. საბაზო თანამდებობრივი სარგო კი განისაზღვრება „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც 2025 წლიდან დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 460 ლარს. ამდენად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა 2025 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი თანამდებობრივი სარგოები ექვემდებარება მართებულად დაკორექტირებას. ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ფრაქციის წევრის ჯუმბერ ბლაგიძის თქმით, ხელფასების მატების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ 10 %-იანი მატება არის უთანასწორო და არასწორი ფორმულირება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 0 დეპუტატი , წინააღმდეგი 3.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ პროექტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტში და მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, შეღავათიანი მგზავრობის ბარათის მისაღებად შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად აღარ ექნებათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მგზავრობის უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას, რის თაობაზეც დგება ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. მგზავრი, ვალდებულია ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას, მგზავრობის დაწყებისთანავე შეიძინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალებით(მათ შორის, თავისი კუთვნილი პერსონიფიცირებული, უფასო ან / და შეღავათიანი მგზავრობისთვის განკუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ან ელექტრონული გადახდის საშუალებით) გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულების მიზნით, მიზანშეწონილია მიღებულ იქნას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ

შესაბამისი ნორმატიული აქტი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი, წინააღმდეგი 0.

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: შპს „ლანჩუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სწდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ ამ პროექტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით ჩამოყალიბების ძირითადი მიზანია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შიდა სამგზავრო ტრანსპორტის ერთი სამეწარმეო იურიდიული პირის მმართველობაში გაერთიანება. იურიდიული პირის მიზნებად განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

ა) რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში (M3 კატეგორიის ავტობუსებით) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა.

ბ) სათანადო ნებართვის საფუძველზე, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება.

გ) მგზავრთა უსაფრთხო მომსახურების უზრუნველყოფა.

დ) მგზავრთა ნაკადების ოპერატიული მართვა, ორგანიზება, აღრიცხვა და კონტროლი.

ე) მგზავრთა ნაკადების პროგნოზების შედგენა და აღნიშნულზე დაყრდნობით მგზავრთა გადაყვანის გრაფიკის შემუშავება, მისი შემდგომი შესრულება და შესრულების კონტროლი.

ვ) მგზავრობის საფასურის მოკრება, მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის მოწყობა, მათ შორის, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლეთათვის აღნიშნულის უზრუნველყოფა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ზ) სამარშრუტო სქემის დახვეწასა და განვითარებაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებზე, მოედნებზე, მაგისტრალზე, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელი ღონისძიებათა შემუშავება და დამუშავებისთვის შესაბამისი წინადადების მომზადება;

თ) სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ცენტრის საქმიანობის მიზნებს.

მან განმარტა რომ, აღნიშნული ფუნქციები, დროებით დაკისრებული ჰქონდა ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს, მაგრამ მას შემდეგ რაც მუნიციპალიტეტმა შეიძინა სამგზავრო ავტობუსები, მართებულია ზემოთდასახელებული ფუნქციების განხორციელების მიზნით იურიდიული პირი შექმნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილება განხორციელდება ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წესდებაშიც.

იურიდიული პირის საქმიანობისათვის ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სარეგისტრაციოდ წარდგენა დაგეგმილი გვაქვს 2025 წლის 1 აპრილიდან. თქვენთვის ცნობილია ასევე რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებულია „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N 9 დადგენილება, რომელიც შეეხება ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს და ახალი იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევაში, აღნიშნული დადგენილებაც საჭიროებს ცვლილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ

მიერ ინიცირებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც შეტანილია საკრებულოს ბიუროს 18 მარტის სხდომის დღის წესრიგის პროექტში, დაკორექტირდა და წარმოდგენილია ახალი რედაქციით. ასევე დაკორექტირდა მათ მიერ ინიცირებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ის შესაბამისობაშია ახალი იურიდიული პირის ფუნქციებთან.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0.

5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე. გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის №3 დადგენილება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0.

6. დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს განათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ**. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში 2025 წლის 20 თებერვლიდან ინტენსიური თოვის (დიდთოვლობის) გამო მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლეების ნაწილმა ვერ შეძლეს დროულად გადაეხადათ ხელშეკრულებით ნაკისრი (ქონების სარგებლობის) გადასახადი. საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54 მუხლის (მუნიციპალიტეტის მერი) 1

პუნქტის დ.ე) ქვეპუნქტით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მერი უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემდენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლები რომლებმაც ვერ შეძლეს დიდთოვლობის გამო 2025 წლის 25 თებერვლის ჩათვლით გადაეხადა მიმდინარე თვის ქირა, ციალა ლომაძე პ/ნ 26001003806 (ხელშეკრულება N6 20/01/2025), ეთერ ხუტულაიშვილი პ/ნ 26001011837(ხელშეკრულება N 3 13/01/2025) ,ნანა ურუშაძე-დიმისტარიშვილი პ/ნ 61001021917 (ხელშეკრულება N4 13/01/2025), ნანა ურუშაძე-დიმისტარიშვილი პ/ნ 61001021917 (ხელშეკრულება N 5 13/01/2025), სალომე ბოჭორიშვილი პ/ნ 26001031170 (ხელშეკრულება N 5 01/07/2024) 1 თვით გათავისუფლდნენ დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0.

7. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:

„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ**. მან განმარტა, რომ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის N4 დადგენილება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდლობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0.

8. სხვადასხვა საკითხები:

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოს“ წევრებმა მადლობა გადაუხადეს იმ მოხალისეებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული სტიქიასთან ბრძოლაში, რათა მოსახლეობისთვის გაეწიათ დროული დახმარება. მათი თქმით, ასევე უპრიანი იქნებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიას ოფიციალურად გადაეხადათ მადლობა მოხალისეებისთვის, ვინაიდან ისინი 24 საათიან რეჟიმში უწევდნენ მოსახლეობას დახმარებას.

ფრაქციის წევრმა, ვოჩა ჯანაშიამ დააყენა წინადადება, რომელიც ითხოვს ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ სოფელ ქვიანის ცენტრში მოხდეს არსებული ავარიული კულტურის სახლის დემონტაჟი და მის ადგილას მოეწყოს ახალი თანამედროვე კაპიტალური შენობა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ქვიანის ცენტრში მოხდეს ხელოვნურ საფარიანი სტადიონის

მოწყობა.

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოს“ წევრები ითხოვენ წინა ფრაქციის სხდომაზე მათ მიერ დაყენებულ ინიციატივებზე პასუხს.

ასევე, ითხოვენ ინფორმაციას დიდთოვლობის შედეგად დაზიანებულ სახლებზე, რამდენ ოჯახს გაეწია დახმარება სოფლების მიხედვით, რა ეტაპზეა კომისიის მუშაობა და როდის იქნება საბოლოო შედეგი.

ფრაქციის წევრმა, ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ ადგილას, კერძო საკუთრებაში არსებული პურის საცხობისა და მაღაზიების შენობის იერსახე მოწესრიგდეს მესაკუთრესთან ერთად მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდლობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“-საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე